

თეატრი

საუოველ-კვირზო ლიტერატურული და მსატერობითი გასეთი.

8 დეკემბერს

გამოცემა

№ 16

კვირამბით

1885 წელს.

ფასი „თეატრი“-სა

წლით ხუთი (5) მანეთი. ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოკანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისთანვე სამი (3) მანეთი, მისში ერთი (1) მანეთი და პარამობის თვეშიც ერთი (1) მანეთი. ცალკე სომედა „თეატრი“-სა ღირს სამა (3) მანეთი. ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრიქონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

ხელის მოწერა მაილეზა:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი“-ს რედაქციაში. ქუთაისში მ. ქილაძეების წიგნის მაღაზიაში, გორში ს. მგალობლისწივლითან, თელავში ი. როსტომაშვილითან, გარეშე მცხოვრებთათვის ადრეს: Тифлис, Редакция „Театръ“.

კორესპონდენციები და საზოგადოთ ნაწერები პარ-და-პარ „თეატრის“ რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს. დაუბეჭდედ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

ამ ნომერთან ხელის მოწერა ურიგდებთ თ. ი. ჭავჭავაძის სურათი.

საუოველ-კვირზო ლიტერატურული და მსატერობითი გასეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მერე)

სროგრამა და სიერცე გახეთი, „თეატრი“-სა იგივე დარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირამბით ერთხელ, კვირამბით.

ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მოწერათვის ღირს ხუთი (5) მანეთი, ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი სხვა მადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ქართული

18

კვირამბით,



თეატრი

85

8 დეკემბერს

ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ცხოვრების თანამოგზაური

კომედია-დრამა 5 მოქმედ.

დასაწყისი 8 საათზე.

ქართული თეატრი

თბილისს, პირველს ქრისტიანობის თვეს, ქართულ-მა დრამატულმა დასმა წარმოადგინა მ. პ. აბაშიძის ბენეფისში: „მხლანდელი სიყვარული“, კომედია 4-ს მოქმედებად, გადმოთარგმნილი თვითონ ბენეფიციანტისაგან. ამ პიესას, რომ კრიტიკულის წერტილით თვალი გადაეცლოთ, დაინახავთ რომ მეტათ რეალური მოვლენანი არიან დახატულნი, რომელნიც ყოველ დღიურს მაგალითს შეადგენენ ჩვენს

საზოგადოებაში; იგი გვიხდის მზაკვარების ფარდას და ნათლად გვიჩვენებს იმ დაცემულს საზოგადოებას, რომელსაც დაუკარგავს ყოველივე პატიოსანი კაცობრიული ღირსებანი და თავის აზრების მონაბითა სცხოვრობს; იგი სცხოვრობს შორს მივარდნილს ადგილას და იქიდან ბეცის თვალებით უყურებს კაცობრიობის პროგრესიულად წინ მიმდინარეობას. იმას არა სწამს ის მაღალი იდეა, რომელსაც პატიონებას ვეძახით და რომელიც კაცის ზნეობითს ამპარტყენობას ამაღლებს; მხოლოდ იმის პირ-და-პირ დანიშნულებას შეადგენენ: პიროვნული სარგებლობა და უფროსის დაბლა თავყანის ცემა. აი განუშორებლივ ეს აზრები სადგურობენ იმის გულის სირღობაში, რომელსაც ისე მკვიდრად ჩაუყრია საძირკველი მაში... აი, ეს თხზულება რა გეყარს ცხოვრების გოლიათებს გეცნობებს, რომელნიც ყოველთვის ბნელს ქვეყანაში მეფობენ. ღიახ, მეტად ხელოვნურად არიან დახატულნი ეს „პამპადურები“, როგორც შჩეღრინი უწოდებს მათ. მაგალითად ავიღოთ იაკობ სასტიკაძე (მ. აბაშიძე) და თავ. ჯამბარ-ჯამბარაშვილი (ბ. მოხევე), ეს ორივენი დეპარტამენტის ჩინოვნიკები გახლავან, რომელნიც არხივებში საქმიების ძებნაში დაბერებულან. ჯამბარ-ჯამბარაშვილი იაკობ სასტიკაძეს უფროსია სამსახურით, როდესაც იგი ელაპარაკება იმას, თრთის, კანკალეს, თვალთ უბნელდება და წელში გამოშანთული თვალეზში შესტკერის, თუ რა ამოს; ზოგჯერ ცდილობს იმის ნაფხურზედ არ გადაიაროს და ხან იმ ცხოველურს გრძობამდის მიღის, რომ უფროსის უბძანებლად არც კი ფიქრობს, როგორც თვითონაც ბრძანებს: «თუ მიბრძანებ, თქვენო ბრწყინვალეზე, მიეხედების!» აი, ეს მდაბალი გრძობა—მიმართულებანი მეტად ხელოვნურად იყენენ დახატულნი ბ. მ. აბაშიძეს და ბ. ალ. მოხევესაგან.

როდესაც დროთა-ვითარების წყალობით ბ. ახირებულაძე (ალექ.-მესხივეი) ამ დაცემულს საზოგადოებაში სტოპავს, რომელიც იღვწის, ცდილობს თავის შეურყეველი აზრების განხორციელებას და ახალ-გაზდა ნუცას (მ. საფ.-აბაშიძისა) კეთილს მიმართულებაზედ აყენებს და როდესაც იგი ნი სულით ერთმანერთს უკავშირდებიან; აი მაშინ იბადები ბრძოლა, ამ ორი პატარა საზოგადოების შორის, საბრალო უსუსურს ქალზედ, რომლის გული ითხოვს შეუმწიკვლელს, წმინდა სიყვარულს, მაგრამ ყოველივე ცდა ამაოდ მიდის! ავად-მყოფი საღს ამარცხებს დაცემული საზოგადოებას უსუსური

ქალი, სათამაშო წიეთად აქეთ გარდაქცეული და იმ სისაძაგლემდის მიდის ნუცას მამა, რომ თავის უფროს ჯამბარ-ჯამბარაშვილს აძლევს მსხვერპლად. იმას გულიდგან ჰგლეჯენ იმ წმინდა გრძობას, რომლის მონაც ის არის და აბარებენ იმ პირს, რომელიც ამა მსოფლიურს ფუფუნებას შეადგენს. ეს დრამა-კომედიური მდგომარეობა ნუცასი მეტად გონივრულის მოაზრებით იყო აღსრულებული ქ. საფ.-აბაშიძისაგან. მეტადრე უფრო შესანიშნავი იყო ერთი გარემოება, როდესაც გულიდგან ჰგლეჯენ ახალ-გაზდა მიჯნურს და ბებერს გამოჩერჩეტებულს დეპარტამენტის ჩინოვნიკს აძლევენ, მაშინ იმედგარდაწყვეტილი გარემოებას ემორჩილება და ხელს უშვერს ამ უღირს პირს, აი, აქ საფ.-აბაშიძისამ მეტად მშვენიერად დახატა, იმას ემჩნეოდა უკმაყოფილება, ტანჯვა და ისრე გაუშალა ხელი, რომ გულითა და სულით სხვაგან ჰქროდა და იმ ადგილს გასტკეროდა, საითაც ახირებულაძე წავიდა და სხეულს კი გარემოებას უთმობდა. რაიცა შეეხება ბ. ახირებულაძეს, უკანასკნელს შემთხვევაში იგი სრულიად ღირსებასა ჰკარგავს, როდესაც, თუმცა დიდის ტანჯვით, მაგრამ უბრძოლველად თავს ანებებს თავის იდეალს, მით უფრო რომ ის დარწმუნებულია, რომ ნუცა მათელს თავის სიცოცხლეს ტანჯვაში და უბედურებაში გაატარებს. ბ. ალექ. მესხივეს ის სულის ძალა (СИЛА ВОЛИ) არ ეტყობოდა, როგორც კი შეჭერის მეოთხე მოქმედებამდის ამ გამბედავს ტიპს; სრულის სინამდვილით ვერ იყო დახატული, იმას ემჩნეოდა უფრო ნაზი გრძობა და სულის გამჭირაობის სისუსტე, რომელიც ამ პირს სრულებით არ ეთანხმება.

მეორე წარმოადგინეს „ცელქები“ და ამ ვოდვეილში ყველა მსახიობმა რიგაწად შეასრულეს თავთავიანთ როლები.

მერმე ეს ყოველივე დივერტისმენტით და დაუნის გვირგვინებების მირთმევით დავეირვინდა, რომელთაგანიცერთი თვითონ ქართულმა დასმა მიართობენ ფიციანტს და ბ. ა. მოხევემ შემდეგის სიტყვებით მიმართა:

«ნიკიერო არტისტო! მიიღევს გვირგვინი დაუნისა, რომელსაც გიძღვის არტისტო საზოგადოება... მათვე მომანდევს გადმოგკეთ, რომ ეს მცირედი ნიშანი იმ განუსაზღვრელის სიტკობისა, რომელსაც კაცის გულში ნიჭი და ხელოვნება აღძრავს, გთხოვენ მიიღო სახსოვრად და არა ჯილდოდ... არა ჯილდოდ-მეთქი ვამბობ, რადგანაც ყველა მათგანი დარწმუნებულია, რომ ორიოდ კაცს ნიჭი-

რების დაჯილდოების უფლება არა აქვს. მით ნი-
ქი არის ზეციით მინიჭებული ჯილდო ამორჩეულ-
თათვის და დანიშნული ხალხთა სიტყვობების და
ბედნიერებისათვის... მაშასადამე თვით დაფასებს
უფლება მხოლოდ ხალხს შეუძლიან და მასთან ერ-
თად გამოჩენილთა სახელის საშეილი-შეილოდ გარ-
დამცემსა ისტორიას.

„მაშ მიიღე, ძმაო, სახსოვრად და ნიშნად იმ
გრძნობისა, რომელიც შენის შრომისა და მოღვა-
წეობით არის აღძრული და საზოგადო საქმისთვის
ერთ-ძმად შეერთებულთა ერთადვე ვისურვოთ:
„იცოცხლოს ქართულმა თეატრმა, იცოცხლოს ჩვე-
ნის სცენის სულის ჩიმღვმელთა, პრავალ-ჟამიერ.“

ღივერტისმენტი სიმღერით და ლექსების კი-
თხვით შესდგებოდა, რომელშიაც სხვათა შორის მო-
ნაწილეობას იღებდა, ენ. ნ. მარბელიანისა, რომ-
ელმაც სამიოდე მგრძნობიერი ლექსი წაიკითხა
და თაიგული მიართვეს. საერთოდ ამ წარმოდგენამ
მეტად მხიარულად ჩაიარა.

ი. კ — ლი.

რეკლამა

ქრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

ჩვენ ლიტერატურაზე

(დასასრული)

VI

მოსურნეებიც ბევრია, რაიმე სარგებლობა მოუტა-
ნონ ჩვენ ლიტერატურას თავიანთი შრომით. ყველა ამ
კვარს ზარები ლიტერატურაში ეგებებიან, მიუსვდებიან
იქნას, აქვსთ მიწოდება, თუ არა. მატრეტევენ კი ზარ-
ნასიყ, აწევენ, თუ არა მას არ დაქებენ, არც თავის
დონეს ამწევენ. ოღონდ სურვილი იუოს და სარგებ-
ლობას უოველოთვის და უოველგან მოიტანს გაცა, რა
ასპარეზსედაც არ უნდა მუშაობდეს. „გეთილი მოქა-
ლქე, ამბობს სმიდისი, სასელმწიფო მოღვაწესე ხაკლებ
სარგებლობას არ მოიტანს.“ ვიდრე ჰირველი თავის მ-
გალითით ზრდის დანახვენ მოქალაქეებს და ამ გვარად
უძღვნის სამშობლოს ერთის ნაცულად, რამოდენიმე კე-
თილ წვერს.

ერთი მოვლენა არის საუფრადღებო ჩვენს მწერ-

ლობაში; როგორც მოგასხსენეთ, ჩვენში მრავალა აღ-
ჭერვილი სარგებლობის მოტანის სურვილით. ჩვენი ნია-
დაგია მის მიხედვით, თუ ჩვენი აღზრდა, რომელიც
მწერლებს ახალ-გაზრდაში ძრეულ ცოტას ვსვდებო. რა
მახეზია, რომ ჩვენი ახალ-გაზრდა მწერლება თარე-
მისს არა ჰქადაბენ სელს? განს ცოტას სარგებლო-
ბას მოგვიტანენ ამ მსრით? ვითომ რა სარცხი-
ლია თარგმნა? შორს წასვლა არ გვქარდება მკვლავით;
ფასელი ჩვენ მწერლობაში ცნობილი იქმნა თავის სე-
ლოვჩური დემონის თარგმნით. განს ცუდი იქმნებოდა,
რომ გვქონდეს თარგმანი ისეთი კლასიკური მწერლები-
სა, როგორც არიან: შექსპირი, შილერი. გეტტი,
ბაირონი, ჰეინე, ვიქტორ ჰიუგო, შილერგენი და სხვა-
და-სხვა? მართალია ზოეტების თარგმნას განსწავლებული
ნაჭი სწარდება, მაგრამ რომანებს კი გავლთარგმნიდა
შრომის მოუფრე და მცირედ მაინც არის ენის მცოდნე
კაცო. რა მიხედვით, რომ ზოგიერთი რუსეთის მწერლები
ზარა გვქმნის თარგმნით? რამოდენიმე რომანები ტურ-
გენიევისა, დოსტოვესკის, გონხაროვის. ვასილკის და
სხვების? ეს მწერლები მით უფრო სასწირონი არიან ჩვე-
ნი ლიტერატურისათვის, რომ მათზე იღირდებიან ჩვენი
უმწილები. იმათის თარგმნით ამ უკანასკნელებს საშუა-
ლება მიეტეოდათ ქართულად გასცნობოდენ ამ მწერ-
ლებს, რომლებსაც იმულებული არიან რუსულ ენაზე გაეც-
ნონ. შეიძლება ეს საშუალება ერთი უკეთესთაცხანი იუ-
კეს ქართულის ენის და ლიტერატურის გამშენიერები-
სათვის.

შემდარი იქნება, ვინც თარგმნაში მცირედ სარგებ-
ლობას ჰპოვობს. თარგმნით საშუალება გემდევა შეს
ენაზე გაეცნო საზოგადო მსოფლიო იდეებს. ამას გარ-
და ამდიდრე ენას. მწერლს, რომელიც თავისი ძალი
ნაჭით მთელ ქვეყნის ეკუთვნის, შენი ერის კუთვნილე-
ბად სდი. ჩემის აზრით შექმნიან სერხინანდ გავდომთარ-
გმნელს ვანცვლები მთლად ჩვენ დრამატული ლიტერა-
ტურას; ბაირონისას—რაც აქამდის ჩვენში ზოემეხა და-
წერილა; შილერგენისას—რაც რომანები და მოთხრო-
ბები (მკითხველმა სასეში იქონიოს ჩვენი ახალი მწერ-
ლობა).

ერთს გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება.
ესლა და ესლა ძლიერ ემჩნევა, რომ მკითხველ საზოგა-
დობას ვერ ავსოთოფილებს ჩვენი მწერლობა. ან რით
უნდა დაგვავსოთოფილს ჩვენმა ზოლიტიკურმა და ლი-
ტერატურულმა უფრნაღმა „იკერიამ“, რომლის გამოსვ-
ლამდის სული გხდება კაცს და როდესაც გამოვა, ვაი იმ
კვარ გამოსვლას. მერმე დედის ერთა შეილი მაინც არ
იუოს. ამ კვარ გაბეჯითებულ უფრნაღის ქონებას, უქო-
ნელობა ბევრად სუობია. რამოდენიმე გვერდი ზატრან

*) იხილე „თეატრი“ № 15.

თეატრი

წიგნისა შეიცავს ქართველთა ტუინის მოძრაობას. ნუ თუ ეს ჩვენი სულის მოძრაობას არ მოასწავებს? რით დაგვაგვიყოფილებს გავითი „დროება“, რომელსაც სეიონისი თანამშრომელი ერთიც არა ჰქვას და ბანან-ბუჩხნებს ღირ-ჩენით ბურთი და მოკლანი. ესემათა-ზე სრულებითაც არ ვიღაზარაკებთ, ვინაიდაც ეს სემპელოლო ვერნადა. ის არავენი იფიქროს, რომ ჩვენ ამით ან ერთს, ან მეორე რედაქციას ვკონსადეთ. რედაქცია და რედაქტორი, თუ მათ თანამშრომლები არ ჰქვან, უსატო ეკლესიას წარმოადგენენ. ყველამ ვიცით, რომ ერთს გაცს არ ძალუძს არც ვერნადას და არც გავითის გავსება.

ჩვენ ვსთქვით, რომ მკითხველ საზოგადოებას ვერ ვემყოფილებს ჩვენი მწერლობა ის იმ მოასრუებით ვსთქვით, რომ მკითხველი საზოგადოებას ჩვენი ლიტერატურა უკან ჩამორჩენია. თუ ვინმე ჰკითხულობს ჩვენს ვერნალ-გავითებს ეს ქართული ენის საყვარულით და ერთ-გულდობით მოსდის, — ამ მკითხველ საზოგადოების გარდა, არის მეორე საზოგადოება — სალხთა გროვა. ჩვენი მწერლობა მას სულ ვერ ვემყოფილებს, რადგან იგი ამ საზოგადოებაზე წინ წასულა. ასე რომ, ლიტერატურა შეუსე დაჩენილა და არც ერთ მსარეს არ აზგებს.

ისიც უნდა ვსთქვათ, რომ არაფერა შრომა არ არის ქართული მწერლობისთან უმადური და უსასიდილო. კაცი შრომობს და ამ შრომით ლეგმა ზუფს ვერ ჰქოვლობს. ხედავ უკანასკნელი ლეგა შენზე უკეთ იძლებს გუჭს და უკეთ გამოდის. ასალ-გაზდა მწერალი მტუენობს თავის დანიშნულებას, ვარდება სასოწმკვეთილებში და შედის სადმე სამსახურში. მწერლობის მოწოდებას შეიძლება მან არ აზგუნოს კვირამი ორასათი. ესეც ლიტერატურის უძლეურობის მიზეზია. ყოველი კეთილი კაცი მხად უნდა იყოს მამულს სარგებლობა მოუტანოს. შამშილა მსეღია, მიერმე მუშაქისათვის; — იგი მუშაობასაც ვერ ასერსებს მშიერ გუჭზე. ყოველს განათლებულს ქვეყანაში ლიტერატურა უმართიანესი შრომაც არის და არც უღუქმა-პუროდ სტოკებს მოღუჭეს. ლიტერატურის წარჩინებისათვის ყოველთვის სჯობია მოღუჭეს ჯილდო ეძლეოდეს. ჯილდოს მძლეველი განინჯეს მანაც, თუ რა საჭიროებს უიღულობს. ღრთა მოვათიქროთ რამე ამ საგანზე. „დროება“მ ბევრჯერ წარმოსთქვა ამაზე თავის აზრით. ან უნდა მივიღოთ „დროების“ აზრის შესახებ ლიტერატურული ფონდის დაჩსება, ან სსვა რამე მოვათიქროთ. რედაქციებს, რომ არ შეუძლია ეს დიდი ხანა უნდა შეგვეგნო.

რ. ალისუბნელი

ეკლტონი

ახეცთა ღამაფშიდებელი

(მოხრობა ხანარ მახონისა; ნემეცურიდგან)

ეს მოხდა 1859 წლის დასწყისში, როდესაც პირველად ნადირთ მახკენებელი სხვადასხვა გვირის ნადირთ ბუსარქსტა მოვიდენ. მთელი ქალაქი მელეკურბაში მოვიდა იშვიათის მოდგმას და მჩაველის მსეცთა ნასკით, ღომების სიმშენიერით და განსაკუთრებით დამამკადებელისაგან, რომელმაც განსაცვათეებელი მამა-ღობანი წაიღინა.

გერმა დაღსტრომი, ასე ეძახდენ მას, ასალ-გაზდა შეკედის ქალი იყო, ღამაზი, გამბედავი, საუცხოვო, მიუყარებელი. მართალია, მას ნადირთ - საჩვენებელის პეტრონის საყვარლად სასავდენ, მაგრამ მდიდარი დიდგაცები, რომელნიც გასს ეკლებოდენ, რომ მისი გული მოეგოთ, მსოლოდ დავს თავზანობას და დამამცანანს საამაყეს სვლებოდენ, რომელაც ვეკლას განსევეყენებდა. იგი გაჩსბერვის ოქსობასთან ერთად ერთს საუკეთესო ოტელ“—თავანში სადგურობდა, დადიობა ნადირთ-სანასეში, იქიდაც ბრუნდებოდა ეტლით, როგორც მალა საჩისის ქალი; არავითარს ვიბატებს არ იღებდა, და არც არავის უნახავს მარტო სადმე ასეთმა „ეესტაღისა“*) საძვარემ და თავდაჭერამ ვეკლას ცნობის-მოყვარობა გაუღვიძა, ასე რომ გერმა დაღსტრომის სასელა მსწაფლად ისეთავე განთქმული შეიქმნა, როგორც კატლანას და ლოლა მონტესისა.

ერთსელ მსეცთა სასახეში მოხმანდა პირთიდაც ახლად დაბრუნებული თავადი მანასკო, ბუსარქსტის დელათა სქესის ნებეკი; მან დათვლიერა, მეგობართა თანამდომელობით, რამდენიმე ნადირი და, დასსარულ, ღომის ყათახასთან გაჩერდა და სკეპტიურის ღიმილით გამოჩენილის შეკედის ქალის მოსკლას დაუწყო ღოდინი. უერნად უკანა გადათიერულთან გაიღო პეტრაც, ვიწრო კარები და მძვინვარე ტაშის მტემულს სალხს გამოეცსადა ტერმა. მედიდურის მოძრაობით დიდი ტუვის ქათიბი განხდა და თეთრის ატლასის, ყარყუმით შემოკერებულის კაბით, წვეპლოი სელში, მალაღი, მოყვანლის ტანით და მთელს ქვეყანაზედ უკეთილ-შობილურების სასით, რომელსაც გამოუთქმელს სიტურთვეს ამლეკდენ ოქროს ფეროვანი კაგები და წლოვანების სინა უნდა შეგვეგნო.

*) ძველად რომში ყრბო ტაძრებში ემსახურობოდენ ქალები, ჩვენი მონოზნებეგით, რომელთაც „ეესტაღებს“ უწოდებდენ.

მთარგ.

ნორჩე, ყაფაზაში შევიდა. თავადი პირველივე წუთიდან მოიხიბლა; იგი ადრეუბით და ალტანებით ადევნებდა ყოველს მის მოპირაობას თვალს. მისი გული საშინლად ატოვდა, როდესაც გერმამ თავისი მშვენიერი თავი სავსიხელს ღოძს პირში ჩაუღო, იგი კანკალებდა, როდესაც ხედავდა, როგორ ელახვარაკებოდა გერმა და ფესსა და წვეპლასა სცემდა ურხს ნადირს.

როგორც გამოვიდა დამამშვიდებელი ყაფაზიდგან, მასინვე თავადი მინასკო იმის წინ იდგა და თავს უკრავდა, — იმ დროს, როცა იგი ქათიბს იცვამდა, რომელიც მიანწოდა ჭანუკმა ედგარმა, გარსებურვის შვილმა, შესანიშნავის სილამაზის მქონემ. გერმამ თავისი დიდრონი, მტრედის ფერი თვალები განცვიფრებით და შიშით შესწერა ამ იდეალურს ნაჭოს, რომელიც თითქმის ქალურს სიტურთეს მოგაგონებდათ; მან ჩვეულებრივის ცივის შედიდურებით არ უშასუს მის, კითხუბსედა, არამედ შეკრთობით და გამოუთქმელის ნარნარის დიმილით შესხდა.

თავადმა მინასკომ ყოველს სლამოს დაიწყო იქ სიარული და გერმა, არამც თუ ტუბილად მიიღებდა სოლმე, არამედ ეძებდა კიდევ თვალებით, როცა ყაფაზაში შედიოდა და გამოხულისას-კი მოუთმენელად ახაკუნებდა თავის პატარა ფესებს, თუ თავადი იქ არ იყო, რომ მისთვის ქათიბი მიეწოდებინა.

მაგრამ ეს იყო სულ, რაც თავადს შეეძლო მოეპოვა და რამდენადც გერმა შეუპოვრად არა თანხმდებოდა მის თხოვნას, იმდენად მას იპურებდა ყოფსოკითური სურვილი მისის მიუღობულობისა.

მოულოდნელი მოცილე მოკვლინა თავადს მასველად. ერთს სლამოსედა ედგარმა, როცა გერმა უფაზაში უნდა შესულიყო, აკანკალებულის ხმით უთხრა მას:

— მე მეგონა, რომ შენ მაშინემის საყვარელი იყავი და ვჩუქებოდი; ესლა-კი უნდა გითხრა, რომ მიუკარხარ და არასოდეს არ დავსთანხმდები, რომ თავი დაიძვირო იმ თავადთან, რომელიც ერთი თავადის ქალის საქრმა უკვე და შენ-კი სპაგლად დატეინის.

როდესაც წარმოადგენის შემდეგ მინასკო მივიდა გერმასთან, გერმამ მას ჩუმიდა ჭკითხა:

— მართალია, რომ თქვენ სცოლე გუპოთ?

— მართალია, უშასუსა მან, მაგრამ თუ შენ მოისურვებ, მე დაუყოვნებლივ მოუღობ ბოლოს ამ მოსაწვენ რომანს და ფეს-ჭვეშ ჩავიკარებები, როგორათაც შენი მონა.

— ჭო, მაგრამ თქვენ მე არ გიყვარვართ...

— როგორ დაგიტვიცოთ?

— შუა-ღამესედა ერთი საათით ადრე მოდიო პატარა

კარბთან, რომელსაც მსეტო-სანასკომი შეჭყავს, ჩუმიდა და გარდაჭრით უთხრა გერმამ.

— მოვალ, იყო პასუსი.

ისიც მოვიდა და როდესაც მსეტო სანასკვიდგან გამოდიოდა, ღამის საბნელები, მამინ ორი ნაზი სელი მოეხვია მის ყელს და ალგსნეუელი ტუჩები შეუერთდენ მის ტუჩებს.

რამდენიმე ხნის შემდეგ თავადის მინასკოს და მსეტო დამამშვიდებელის ამ საუერადლებო კავშირსედა-ღა იყო ღაპარაკი ყოველს სასოგადობაში.

თავის შვილის მოძალანედ შემინებულმა მამამ გარდასწვეილა, რაც შეიძლება ჩქარა გადაეწერა ვივარი მისთვის აკრთენა სლამოდასე, რომელსედაც ბავშობიდანვე იყო დანიშნული. მამასა და შვილს შუა ცხარე სცენა მოხდა, დასასრულ უკანასკნელმა დაუთმო დაერთს სლამოს, აღარ მოვიდა ცირკში.

ამ სლამოს შემდეგ გერმასთვის უმტანჯველესი დამედაცა. კიდევ ორი სლამო უბრალოდ მოელოდა იგი თავის საყვარელს, შემდეგ წიგნი მისწრა და არავითარი პასუსი არ მიიღო.

მეოთხე სლამოსედა, როდესაც ის ყაფაზიდგან გამოვიდა და ქათიბს იცვამდა, ედგარმა უთხრა:

— გერმა, განა უნდა გითხრა, რატომაც აღარ მოდის ის საზიზღარი?

— სთქვი, წარმოსთქვა მან ბოხის ხმით, ყველა-ფერსედა მხადა ვარ.

— სამის დღის შემდეგ ის თავის ქორწილს იღლესსაწყოლებს.

— სტუეი!..

— სატუეარი რა მაქვს.

— რა ჭქვიან იმის საცოლეს?

— ვინაყნა აკრთენა სლამოდა.

— ღამაზია?

— ღამაზიც არის, ასლ-გაზდაც და მდიდარიც.

მომწველემდა და საშინელმა სიცილმა გაუმირულა გერმას პირი.

— მითხარ, რომ შენ ერთს, მოლოდ ერთს ცრემლს ჩამოკადებ ჩემთვის, თუ შენი გულისთვის მოკვებები, შეჭვევირა ედგარმა, და მე შურს ვიძიებ, მე მომკვლავ მას...

— არა, ედგარ, შენ არ უნდა გახდე მსხვერპლი, შენ არა...

— მაშ დაუსჯელად სომ არ უნდა დარჩეს ის უმაქნისი?

— რასაკრელია, არა, უშასუსა მან, დინჯის, მაგრამ მტვიცეს ხმით.

— მ:შ ნება მომეცი მე დასჯა... წაიხურებულა
ვღვანე თავისის აკანკალბულის ტუჩებით.

— ანა, უხასუსა გერამ, მე მომინებე იგა...
ვღვანე განუძა.

ს. ახ—თვი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ზ ა მ თ ა რ ი

ღ

ადგა ზამთარი—ბუნებას ეფინა თეთრი
საფარი;
სამ შუბლი შეჰკრა მრისხანედ; გრიალებს ქარი
საზარი...
სიცივე, ყინვა გვესტუმრა... ხეებთ აღარ აქვსთ
საფარი;
აღარსად მოსჩანს, სულ არსად, ამწვანებული მთა-
ბარი!..

შრინველნი თვისებრ უცხო ხმით კეკლუცად აღარ
მღერიან...
მარსკვლავნი მოკამკამენი ცის მრთველად აღარ
არიან...
მღინართ შესწყვიტეს ჩხრიალი, მაგივრად მხეცებრ
ჰყვირიან,
მთანი მოსუცნი მათ შფოთვით გაცვებულნი
არიან!..

ჰკივის და ჰკივის გრივადი მხეცებრივ—გაგიჟებულა!
ბუქი ტრიალებს, სუსხს სტოვებს; გარშემო დაბნე
ლებულა...
სითბო, ხალისი ზაფხულის, უმჩნევლად, განქარე-
ბულა—
ბუნება გამოცვლილია, ბუნება დაბერებულა!..

შენც, ჩემო თავო, ეს გელის!—შენი ზაფხულიც
განქრება!...
სითბოს შვეიცელის სხვა ყინვა—სიბერე მოგვპარება!
ბიდეც მოკვდები!.. ბუნება ხელ-ახლად აყვავილ-
დება,—
შენი სიცოცხლე, დამჰკნარი, სამარადისოთ განქ-
რება!..

გ. თირგული.

ქ მ ა მ ს მ ს ა ნ ჯ ა ნ !

პირველად მრავალს მოკითხვას მოგახსენებ და
მალღ ღმერთსა ესთხოვ, რომ წმინდა ზედაშეს
მადლი შეეწიოს ჩემს ძმა-ბიჭსა. ახლა, ძმაო, ვიცი
რომ ახალი ამბები არ გეცოდინება და ცოტაოდენს
მოგწერამ. ხომ იცი, ზაფხული იყო,—იმისი სუ-
ლის ჰირიმე?—ქლიაფი და ქერამი ხეხილებს კოპ-
წით ჩამოეკიდენ, ალუბლის ხე ლამაზი ქალივით
მორცხვად და კეკლუცად წამოწითლდა და, ჩვენი
ფირის მადლმა, წიგნის მოწერის დრო არა მქონდა.
მხლა კი მინდა შენც მოგწერო და ქვეყანასაც შე-
ვატყობინო ზოგიერთი ჩვენი გულის პასუხი...

ჯერ, ძმაოჯან, ყველაზედ ახალი ის არის, რომ
ჩვენი მოპირნახულე ფიჭვის გორა დაგვიტყვის;
დუჰამ დუმიტი ქა, ჭკუას ძალა დააღაო და
გადაწყვიტა, რომ მერაზე ახალი ხიდი გაეკეთები-
ნა. ბააკეთეს, მაგრამ უნდა ნახო, რა ნაირად გა-
ფუტდა ჩვენი საქეთო არე-მარე, ის არე-მარე, თა-
თუზას დუქანში რომ შევიყრებოდით ხოლმე, ხომ
გახსომს, მე, შენ, მუმუა (ჭკუის კოლოფი), შაქია,
იეშია, ჰილრიკა,—ის კი არ იყო მაზალო!—შდია
და ერთი კიქინა გეკონდა. სად არის ხარატ-მუმ-
ბრისა ტბილი დუდუქი, რომლის ხმაზედ ფიჭვის
გორა-ც კი გამოფხიზლდებოდა თავის დარდებისა-
გან და ჩვენთან ერთად ბუქნას უვლიდა ხოლმე.
ისე ჩამოუშვია იქაურობას ცხვირ-პირი, ასე გგო-
ნია—სამი მკედარი უძევს სახლშიო...

შეშის მეიდანზედაც ბალი უნდა გააკეთონო.
რა ჭკვიანები არიან და! სხვები აქა-იქა ნებსესა ჰკრე-
ფავენ, ბალებში ჰყრიან, მაგათ მზად მოჩნებილი
ადგილი იპოვეს...

ახლა კი მშვიდობით, დრო არა მაქვს... მეც
მინდა გაზეთი გამოვსცე—ეხლა ხომ ყველა გაზე-
თებსა სცემს—და იმის ნება-რთვაზე მიედივარ. ზამ-
თარია და მაშ რა გაეკეთო? მაზაფხულამდის მინ-
და ამ საქმეს მიეყო ხელი...

მომიკითხე ჩვენი ძმა-ბიჭები: ბიჭუა, ზენუა
ძაკუაშვილი, ძარაფ-ქანდოლა და სხვები. ბიჭო! ბა-
რეწელუაშვილი სად დაიკარგა, რომ აღარა სჩანს?
ჰა, ვირის აბანოში ხომ არ არის თავისი თავის ზა-
ღვანე?

მუხით დამწვარი ვარ, ძმაოჯან, ემხით! რაც
ამ წყეულს ქალებს ნება გამოუვიდათ, ხომ კურ-
ტუმზე კურტუმი დაიკრონ, აღარ მიკარებენ, აღა-

რა მკადრულობენ. ისე ვარ დამწვარი, რომ ლექსებსაც კი მიეყავი ხელი... მე და ლექსები? აი, ყური დაუგდე:

ღამწვარი კინტო

„შემიბრალებთ, ეშხითა ვარ ავადა,
მადლი ჰქენით, მოღით სანახავადა!“

ვერსად ენახე მე ქალი ჩემი ტოლი,
მარტოდ-მარტო დავალ კინტო ობოლი;
ჩემთვის გაწყდა, საესე არის ბულვარი,
მისაც ვუთხარ, ყველამ მითხრა უარი.

„შემიბრალებთ, ეშხითა ვარ ავადა,
მადლი ჰქენით, მოღით სანახავადა!“

ზაჩემ? მოი გალავა, ნი გალავა?
რათა, ძმაო, ოხერია, გიჟი? მა!
რა გიყავი? მოი რუკი, ნი რუკი?
რითი მწუნობ, რომ არ მაკრავს გალსტუკი?

„შემიბრალებთ, ეშხითა ვარ ავადა,
მადლი ჰქენით, მოღით სანახავადა!“

პალუბი რაზ, მნე ესერცა აგონ ვარიტ,
სლადკი სლოვა მნე ნიხტო ნი გავარიტ;
შენმა თვალმა ერთხელ მე არ მიყურა,
ღლია ტებე ვაგონ პაიდუ ი ეკურა!

„შემიბრალებთ, ეშხითა ვარ ავადა,
ჰქენით მადლი, მოღით სანახავადა!“

რად იძახი უარს, რად გეზიზღები
მე—რომელიც შენთვის ვიწვი და ვკედები!
რას მთხოვ, მითხარ, რომ თავი განაცვალო,
ჩემო ტურფავ, მარგალიტის მარცვალო!

„შემიბრალებთ, ეშხითა ვარ ავადა,
მადლი ჰქენით, მოღით სანახავადა!“

მოდი ვახდი ალდგომისა ბატკანი,
მომირჩინე გული სხვისგან ნატკენი;
ბამეშალე, მექმენ მასის ვარდი,
გერიტიკოჯან, ჩემთვის გადარდიმანდი!

ჰო, მართლა! მოდა გამოსულაო, რომ ეხლანდელს კურტუმებს ათი ვერშოკი კიდევ მოუმატონო...

სხვა რაღა მოგწერო? აი თუ გაზეთი გამოვა, მაშინ გაიგებ ყველაფერს დაწვრილებით, ეხლა კი დარდიანადა ვარ, დარდიანადა!

a—სხ!

წერილი რედაქტორთან

ბ. რედაქტორო! «თეატრს» გარდა სხვა რომელიმე გაზეთი რომ გეკონდეს, იქ უფრო ვრცლად მოვილაპარაკებდი ამ საგანზედ, მაგრამ თეატრზე ლაპარაკი «თეატრშივე» რალაც არ მეზერებდა; ეს მით უფრო, რომ ამ ორთავე დაწესებულებას ჰსთაონობთ ერთი და იგივე პირი, თქვენ, და ვინ იცის ვინ რას იფიქრებს; შეიძლება რომელიმე არა წმინდა სულმა ბრძანოს, რომ თავის გაზეთშივე ამ წერილით თავის თავსავე ქებათა-ქებას ასხამსო.

ღარწმუნებულნი ვარ, რომ პირად არც კი მიცნობთ მე თქვენ და ამიტომ შევიძლიათ, თუ ისურვებთ, დაბეჭდოთ ეს წერილი სინიდის შეთწუხებლად, წერილი, როგორც ყოველად დამოუკიდებელი პირადსა და მეგობრულ ანგარიშებს.

წარსულ ხუთშაბათს, ნოემბრის 21 რიცხვს, მე პირველად და ისიც შემთხვევით, დავესწარი ქართულ წარმოდგენაზედ არწრუნისეულ თეატრში. თუმცა მე არ შემიძლია ესთქვა, რომ სამაგალითო სცენის მცოდნე და თამაშის დამფასებელი პირი ვახლავართ-მეთქი, მაგრამ არც სრულიად უმეცარი მგონია ჩემი თავი ამ საგანში და, პირუთენელად ვიტყვი, რომ ჩვენი არტისტები მართლაც თვით-მოზილის და სამაგალითო ნიჭით დასაჩუქრებული ყოფილან. მათს თამაშზედ რალაც ტკბილი იმედი გიღვიძებს გულში და თავს ინუგეშებ: მადლობა ღმერთს, რომ ბუნებას ერთ საშინელ სენთან, სიზარმაცესთან, ეს საუნჯე, ძვირფასი ბუნებითი ნიჭიც თან მოუჩენია ჩვენის ხალხისათვისაო. რა უნდა დავემართოდეს, რომ უბედურად, ამასაც მოკლებულნი ვიყვნეთ! ჩემზედ, როგორც თეატრის გულით მოყვარულ პირზედ, ხსენებულმა საღამომ ორი ერთი-ერთმანეთზედ უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა: სასიამოვნო და უსიამოვნო. პირველი იმაში მდგომარეობდა, რომ წარმოდგენამ შეუფასებლად და აუწერელად ჩაიარა. ხშირად სიამის მღელვარება კაცს იმდენად ვიტაცებდა, რომ არ იცოდი რით უნდა გამოგეხატა სიხარული და ზოგ აქტიორთადმი გულითადი პატივის ცემა და, უთავბოლოდ ყვიროდი, გატაცებულად ღრაღლებდი, მოთამაშეებს იწვედი,—არ იცოდი რა გექნა! მაგრამ როცა ირგელივ მიიხედ-მოიხედავდი, გული შხამითა და გესლით გემოსებოდა და წამიერად სიხარულის გამომეტყველ სახეზედ უსიამოვნება აღგებეჭდებოდა: გარშემო დაინახავდი ორ-სამ კაცს და იმათაც, როგორც მითხრეს, უსასყიდლოდ მოწვეულებს. იმათ გარდა მხოლოდ დაობლებულ სკამებსა

და ცარიელ ლოკებს დარჩენილათ ბურთი და მოედანი თამაშის სათვალ-ყუროდ. მე მაკვირებდა აქტიორების სიმხნევე და საქმისათვის თავდადებულობა; თეატრში მისვლისათანავე გულში გადავიწყვიტე, რომ აქ დღეს სამხაარულოს ვერაფერსა ვნახავ-თქო, რადგანაც ხალხი არ არის და თითქმის მთელი თეატრი დაცარიელებულია, მოთამაშენი უგულოდ და უხეიროდ ითამაშებენ მეთქი, მაგრამ სულ ჩემი წინასწარი ფიქრის წინააღმდეგი ვნახე. აკვირდებოდი და თან ბრაზი მომდიოდა თბილისის ქართველ საზოგადოებაზე, რომელიც გარეგანი შეხედულებით და ტრახბანით ქართული ლიტერატურის გულშემატკივარი გგონია და საქმით კი მტკიცდება, რომ ის უფრო უსუსური, უგულო და უღარდელი ყოფილა, ვიდრემდის რომელიმე ჩვენი პროვინციის გაუწათლებელი მცხოვრებნი. მე, როგორც ერთი პროვინციელთაგანი, ქართულ ტრუპას ვურჩევდი, რომ ზამთრობითაც კი, საცა სავალი გზა არ დაბრკოლებთ, ეწვიონ სხვა-და-სხვა კუთხეებს ჩვენის ქვეყნისას, სადაც იმათ „გაუწათლებელ და შეუგნებელ ხალხთ წოდებულნი“ უფრო ღირსეულად, მიიღებენ და დააფასებენ, ვიდრემდის თბილისელი ქართველების საზოგადოება.

მოგზაური.

რუსული გახუთიღვან.

ათას რევას ოთხმოც-და-ხუთს იელისის დამდეგს ნემეცურის ჟურნალის წიგნი დაიბეჭდა „*Nor-luna suol*“, რომელიც პოლია ლინადიუს რედაქტორობით გამოდის; რედაქტორის თხოვნით ყველა ჟურნალის მოღვაწეთ, რომელთა რიცხვს შეადგენდა არამც თუ მარტო ჰერმანის მეცნიერნი და ლიტერატურნი, არამედ გარეშე გამოჩენილი პირნიც, მონაწილეობას იღებდენ ამ პატარა წიგნაკის გაღორძინებაში. ჟურნალის მრავლობითი მოღვაწეთა გამო: ამ პატარა წიგნაკმა აფორიზმიული ხასიათი მიიღო, რომელიც ზოგი ლექსათ იყო და ზოგიც პროზათ. ეს აფორიზმები მეტად საყურადღებოანი არიან და ზოგიერთი მათგანი აქ მოგეყავს.

ა. ბრიკნერი (ღერპტი) მეცნიერების აღმატებაში შესვლისთვის, საკმარისი არ არის, რომ ისტორიამ მხოლოდ ტიტველა ფაქტები გამოიძიოს, არამედ ცხოვრებითი მოვლენათ უნდა სჯიდეს მრავალს, რადგანაც შედეგი პროგრესია, ეს საქიროა არამც თუ მარტო მეცნიერების გამოცანისთვის,

არამედ გაელენა აქვს კაცობრიობის ცხოვრების ზნეობაზედაც.

ბ. ძორიერი (მიუნხენი). როგორათაც ლოლიკა, ეტიკა და ესტეტიკა შეასწავლიან არამც თუ მარტო იმას, კაცმა როგორ იფიქროს, იმოქმედოს და ილაპარაკოს, არამედ როგორ უნდა განხორციელდეს, მაგ-გვართვე ხელოვნება უხატავს გონიერთ არსებათ, ყოველივე ქეშმარიტად როგორ უნდა არსებობდეს.

მ. ძორესი (ლეიპციგი). საერთოთ ხალხი ითვისებს წარჩინებულს და არა დიდად იმათაგან დამსახურებულს სიყვარულს — ღეთაებრიულს და მშობლიურს; რომელიც თვითონ კაცის ბუნებაშია მთანერგილი, მაგრამ ისინი სცოდებენ იმის წინაშე.

შ. პესტი (მიუნხენი). ხელოვნებაში საერთო ჟურადლებას იქცევს ის ქეშმარიტება, რომელიც ეროვნული ხასიათისაა.

ა. რუბინშტეინი (პეტერბურგი). მუსიკალური ხელოვნება, ჩვენს დროს, ძალიან მწუხარე მდგომარეობაშია, უბრალო აზრის გამოსახატველად კომპოზიტორები საოცარს ფორმულების საშუალებასა ხმარობენ და იმათა ჰგონიათ სამყარო ჩვენ დაედგინეთო.

შ. შპილგაგენი (ბერლინი). რომანის მიზანი მხოლოდ ის არის, რომ დაამტკიცოს ქვეყნიერების შეურყეველობა და კეთილისაგან ბოროტების შემუსვრა. როდესაც იგი ასრულებს თავის მალალს, განძრახვებს საერთოდ, მერე პიროვნებას ეხება, იგი გვიშლის თვალწინ კაცის სულის მოძრაობას და იმის ყოველ დღიურს მოქმედებას, ჩვენ თვალწინა ეხედავთ ჰაერში დახატულს. სურათს სხვა-და-სხვა სახით და ხასიათებით, ამ მოვლენას ხან მეგობრულად უყურებთ და ხან მტრულად. რასაკურევლიან—ამ გვარი მოვლენა კაცზედ ფსიხიკურად მოქმედობს სულზედ და არა ფიზიკო-ფიზიოლოგიურად სხეულზედ, იგი ქეშმარიტად უხატავს ჩვენს სულს ყოველივე ბუნებითს მოვლენათა და ჰარმონიულის გრძნობებით ავსებს.

◆◆ ბ. ბედევანოვს გიჟისაგან შეუდგენია ბრ. მრბელიანის ძეგლისთვის მოდელი, რომელიც პოეტს სამხედრო ტანისამოსში, კლდეზედ წიგნით ხელში მჯდომარეს წარმოადგენს, მსურველს შეუძლიან ნახოს ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მალაზიაში, სადაც იმყოფება.